# ლენინის ორდენი—საბჭოთა საქართველოს




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 308 (13393) | ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.


# გულითადი მადლობა მშობლიურ პარტიასა და მთავრობას ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისათვის

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

**რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი. კრემლი, 1965 წლის 29 დეკემბერი.

## ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. კიმ ბენ დიკი

29 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. კიმ ბენ დიკი მისივე თხოვნით.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. კიმ ბენ დიკს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

## ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამხ. კარლოს რ. როდრიგესი

29 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის მინისტრი ამხ. კარლოს რ. როდრიგესი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. კარლოს რ. როდრიგესს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

## გულით ნათქვამი

### თქვენთან ერთად ვზეიმობთ, ძმებო!

საქართველოში მე მხოლოდ მეგობრები მყავს. ამიტომ როცა თქვენ სიხარული გაქვთ და ზეიმობთ, ეს სიხარული და ზეიმი თანაბრად ატკბობს ჩემს გულსაც. დღესაც ჩვენ ერთად ვამაყობთ ამ საპატიო ჯილდოს გამო.

გმირულად შრომობთ, სასახელოდ იმკით და აკა ღირსეული შეფასება სახალხო საქმისადმი თავდადების ნაყოფისა.

მთელი გულით მოგესალმებით და მოგილოცავთ, საყვარელო მეგობრებო!

ნიკოლოზ ტიხონოვი,
ქ. მოსკოვი.

დიდად მეამაყება და მახარებს ჩვენი კეთილი და საიმედო მეგობრის — ქართველი ხალხის გმირული შრომით მოპოვებულ სასახელო გამარჯვებათა ესოდენ ღირსეული და მაღალი შეფასება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ.

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გადასცეთ საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებს, რომ უკრაინელი ხალხი სულითა და გულით იზიარებს მათს სიხარულს და მათთან ერთად არის ამ საზეიმო დღეს.

მიკოლა ბაჟანი,
ქ. კიევი.

# დიდი ჯილდო, დიდი მოვალეობა

ახალი წლის დადგომა ხომ საერთოდ ბედნიერებაა, მაგრამ ჩვენ საბაბი გვაქვს უაღრესად განსაკუთრებული სიხარულით ვეგებებოდეთ მას — დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელშიც ვკითხულობთ:

„რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით".

მოგილოცავთ, ამხანაგებო, ამ დიდ ჯილდოს! ჩვენი რესპუბლიკა ამიერიდან ორგზის ლენინის ორდენოსანია, მის დროშაზე მეორედ ალიბეჭდება დიდი ლენინის გამოსახულება. ეს ჯილდო მარად სამახსოვრო იქნება საქართველოს მშრომელებისათვის და ოქროს ფურცლად ჩაიწერება მის დიდებულ ისტორიაში.

ეს არის შრომასა და ბრძოლაში ნაწრთობ, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა გმირული შემართების მაღალი შეფასების გამოხატულება, ეს არის იმის ნათელი დადასტურება, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა ერთა შემოქმედებითი აყვავებისათვის.

არ შეიძლება თვითეული მშრომელის გულს სიამაყის გრძნობა არ დაეუფლოს თავისი სახელოვანი რესპუბლიკისათვის, თავისი ნიჭიერი, მამაცი, მშრომელი ხალხისათვის. შენც ხომ განეკუთვნები, ძვირფასო ამხანაგო, იმათ რიცხვს, ვინც თავისი შრომით დიდებასა და სახელს მატებს რესპუბლიკას. შენი წვლილიც ხომ არის იმაში, რომ ჩვენი რესპუბლიკა მთელი კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი მოწინავეა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტებზე მიღწეული წარმატებების მხრივ.

გამარჯვებით ხურავს რესპუბლიკა მიმავალი 1965 წლის კალენდარს და გამარჯვებითვე ეგებება 1966 წელს. ეს გამარჯვება ბოლო სახელოვანი ფურცელია, რომლითაც მთავრდება რესპუბლიკის შრომისა და ბრძოლის მრავალთავი წიგნი. შვიდწლედი რომ ჰქვია. რესპუბლიკის შვიდწლედი ის ზღუდე იყო, რომლის ალებითაც მშრომელებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ერების დიადი, უძლეველი ოჯახის უმაგალითო წარმატებებში. რამდენი რამის მეტყველია მარტო ის ფაქტი, რომ შვიდწლედის განვლილ პერიოდში სამასამდე ახალი ინდუსტრიული საწარმო და მსხვილი საამქრო ამუშავდა. თუნდაც შვიდწლედის უკანასკნელი წლის თერთმეტი თვის მონაცემები ავიღოთ — 101,3 პროცენტით შესრულდა მრეწველობის საერთო პროდუქციის გეგმა. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, ქიმიური, კვებისა და სხვ. მწყობრში ჩადგა შავი მეტალურგიის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალი სიმძლავრეები.

წელს მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 186 ათასი ტონა. მწვანე ოქრო — ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი; საერთოდ, შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკამ მოგვცა 1.178 200 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 131.200 ტონით მეტი, ვიდრე ამავე შვიდწლედის გეგმით იყო გათვალისწინებული.

ქართველი ხალხი განიცდის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო აყვავებას. ეს არის საბჭოთა კავშირის ხალხებთან, დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის ურღვევი მეგობრობის ნათელი დადასტურება.

საქართველოს მშრომელთა შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნა და ძალების ალმავლობა შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრების საჭეს მართავდა და მართავს ნაცადი ლენინური კომუნისტური პარტია. საქართველოს პირველი ლენინის ორდენით დაჯილდოებიდან ამ სასიხარულო დღეებამდე განვლილმა ოცდაათმა წელმა — ქარტეხილიანმა და ბობოქარმა თუ მშვიდობიანმა და შემოქმედებითმა პერიოდმა გამოსცადა და შეამოწმა ქართველი ხალხის ნიჭი და შესაძლებლობა, მისი შემართება და შეუპოვრობა. დიადი მიზნისადმი მისი ერთგულება და წინსვლის უნარი.

უკანასკნელ ხანს არნახული და გაუგონარი ნაბიჯებით წინ წავიდა და განვითარდა ჩვენი სახალხო მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა. განსაკუთრებით ფრთა შეესხა ხალხის შემოქმედებითმა ნიჭმა და ფართო გაქანება მიიღო მისმა ძალებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის, აგრეთვე მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებით ინიციატივას, მათს შემართებულ შრომას იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კპ XXIII ყრილობას. ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის, ადამიანთა კეთილდღეობის ახალი მძლავრი პერსპექტივებია დასახული საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებში.

აი საქართველო ეგებება ახალ, 1966 წელს — ვადამდე შესრულებულია შვიდწლედის დავალებანი წარმოების საერთო მოცულობისა და სამრეწველო პროდუქციის მრავალი უმნიშვნელოვანესი სახეობის მხრივ; გაგვახარეს მშენებლებმა, მაღაროელებმა, ტრანსპორტის მუშაკებმა; მზიური საქართველოს დედაქალაქში მალე ამოქმედდება მეტროპოლიტენის პირველი რიგი; ათასობით ოჯახი მიიღებს ბინებს ახალ, კეთილმოწყობილ სახლებში; უმაგალითოდ ამაღლდა ხალხის კეთილდღეობის დონე... სახელოვან შედეგებს მიაღწიეს ქართველმა მეცნიერებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა. რესპუბლიკისა და ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ფარგლებს შორს გასცდა ქართული საბჭოთა კულტურის მიღწევები.

ყოველივე ამან და მრავალმა სხვა წარმატებამ განაპირობა ახალი სიხარული — საბჭოთა საქართველოს დაჯილდოება ლენინის ორდენით. ამ უმაღლესი ჯილდოთი სამართლიანად ამაყობს თვითეული ჩვენგანი, მაგრამ კომუნიზმის მშენებელს ახლა სიამაყის ამ გრძნობასთან ერთად თან ახლავს გრძნობა მოვალეობისა. სიამაყე და მოვალეობა!

ლენინის ორდენი მოგვიწოდებს უკეთ ვიმუშაოთ, უკეთ ვილწვოდეთ კომუნიზმის გზაზე ახალ-ახალი ზღუდეების ასაღებად.

დაე ლენინის ორდენი, რომლითაც რესპუბლიკა დაჯილდოვდა, იყოს მაცნე ახალი, უფრო დიდი გამარჯვებებისა!

# მოგილოცავ მთავრობის უმაღლეს ჯილდოს, ჩემო საყვარელო საქართველოვ!



უხარია საქართველოს
გაშლილს ცისარტყელად,
ერთიანი ალმაფრენა
დაეუფლა ყველას.

# შენ გიმღერი

◆

საბჭოთა საქართველო

◆

რა ლამაზია ეს მხარე,
მშვენებით სახელგანთქმული,
ედემის ბაღში ჩაფლული
ჩემი სამშობლო ქართული;
იზრდება, ყვავის, შენდება,
სართულს, მიჰყვება სართული,
ჩანს ქალაქები, სოფლები
ზვიადად წამომართული,
ბარაქიანი მინდვრები,
საჯიხვე მთების კალთები...
უმზერ და მზერა გწყურია,
მისი სიტურფით დათვრები.

ალ. ანანიძე.

შენ დაილოცე, მთა-ველო,
მინდვრებო ბარაქიანო,
შენ — ჩემი ქვეყნის წალკოტო,
სულ მუდამ ცხოველმზიანო,
მდინარევ დაუშრობელო,
ლაღად დუდუნებ, ხმიანობ,
მუდამ მშვიდობით იდინე,
კორდი არ დააზიანო.

ელ. ჩახვაძე.

მთას უხარია, ზღვას უხარია,
სამშობლოვ, შენი ბედნიერება,
ყველა ზეიმობს, ყველა ზეიმობს...
მშრომელს ეკუთვნის ეს
გამარჯვება!

მ. ყაზანაშვილი.

სულ დიდება გონების მზეს,
მისი მრავალჟამიერი!
სულ შრომად და სულ ზეიმზე
ბედნიერი ჩემი ერი!
სულ მშვიდობა ოქტომბრის მზეს,
მისი მრავალჟამიერი!

ო. გიგინეიშვილი.

დღეს ბაღნარია სამშობლო
ჩვენი,
გულებიც სულ სხვა ეშხით გვაქვს
სავსე,
შორს გაფანტულა შავი
ღრუბლები,
დიდი მზე ბრწყინავს ივერთა
ცაზე.

ბ. ლეჟავა.

ბაღი ხარ დიდი, ჩემო
სამშობლოვ,
დიდი მზის სხივით შუქმოფენილი.
პარტიის სიბრძნით, პარტიის
შრომით,
მეცნიერებით აღმოჩენილი!

ს. ცეცაძე.

# მეცნიერთა სიხარული

ახალი წლის მოახლოებულ საზეიმო დღეებს დიდად სასიხარულო ცნობა დაემთხვა — რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. რესპუბლიკის მშრომელებმა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ჭეშმარიტად ტიტანური შრომა გასწიეს და ასახელეს დედა-სამშობლო.

ამ წარმატებას ჩვენი ხალხი უსათუოდ უმადლის მშობლიური კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას ჩვენი რესპუბლიკისა და მისი ადამიანებისათვის. ამ წარმატებაში უსათუოდ დიდი როლი შეასრულა მთელმა რიგმა ბრძნულმა ღონისძიებებმა, რომლებიც ამ ბოლო ხანებში პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, იმ მხარდაჭერამ, რაც ყოველდღიურად ჰქონდა მასების შემოქმედებითს ინიციატივას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მათ კარგად გამოიყენეს მეცნიერების უახლესი მიღწევები, აამაღლეს მეურნეობის კულტურა.

მთელი ქართველი ხალხის, საქართველოს მშრომელების ამ ზღვა სიხარულს ვუერთებ ჩემს სიხარულსაც და ამ დიდ დაფასებას, დიდ ჯილდოს ვულოცავ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ყველა იმას, ვისაც თავისი შრომით, ოფლით მიუღია მონაწილეობა ამ დიად საქმეში. რესპუბლიკის მშრომელებს ვულოცავ აგრეთვე ახალ წელს და ვუსურვებ კიდევ მეტ წარმატებებს თავიანთ ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

არ შეიძლება გული სიხარულით არ აგევსოს, როცა გრძნობ, რომ რესპუბლიკის ამ წარმატებაში დიდია ქართველ მეცნიერთა წვლილიც.

ნ. მუსხელიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

# მელიორატორთა საქმეები

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევებში საპატიო წვლილი შეაქვთ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაკებს. აშენდა და შენდება ზედა სარწყავი არხი, ხორციელდება ნაჭაობარი მიწების ათვისება, ჭაობების ამოშრობა და სხვ.

მთელი ქართველი ხალხი დიდი ენთუზიაზმით აშენებდა ზემო სამგორის სარწყავ სისტემას, ივრის წყალმა ბაღნარად აქცია სამგორის გადატრუსული მინდვრები. აბა ახლა ნახეთ სამგორი. ვენახები და ბაღები უხემოსავლიანია, მეცხოველეობის ფერმები — მაღალნაყოფიერი. მალე მწყობრში ჩადგება ქვედა სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც საგარეჯოს და გურჯაანის რაიონების ათასობით ჰექტარ მიწას მორწყავს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის სამსახურში ჩააყენებს. კოლხიდის ნაჭაობარზე სიცოცხლე ჩქეფს. კოლხეთი ახლა აყვავებული კუთხეა.

მიმდინარე წელს დაიწყო და კარგად მიმდინარეობს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რისთვისაც დიდძალი თანხებია გამოყოფილი. ეს იმ ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

მომავალ წელს, ისევე როგორც წინა წლებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მიწების ამოშრობისა და რწყვის საქმეს. 1966 წელს ზემო ალაზნის არხის მშენებლობაზე დაიხარჯება 4,5 მილიონი მანეთი — იმაზე ორჯერ მეტი, რაც მიმდინარე წელს იქნა ათვისებული. ფართო მასშტაბით გაგრძელდება კოლხეთის დაბლობზე ამოშრობისა და ამოშრობილი მიწების ათვისების სამუშაოები.

სულ რესპუბლიკაში მომავალ წელს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია 29 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებათა ათვისება, რაც 11 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის შესაბამის მაჩვენებლებს. ამის შედეგად მომავალი წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა 7.300 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი და ამოშრობილ იქნება 3.000 ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, 154 ათას ჰექტარ საძოვარზე რეკონსტრუირებულ იქნება გაწყლიანების სისტემა.

დიდი ჯილდო — ლენინის ორდენი გვახარებს და უფრო მეტი შემოქმედებითი შრომისაკენ მოგვიწოდებს.

გ. ქობულია,
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

# როგორ ვიზარდეთ

◆

საბჭოთა საქართველოს მრეწველობამ ფრთები გაშალა

◆

საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგანან, ვადაზე ადრე შეასრულეს ისეთ ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა, როგორიც არის ქვანახშირი, მარგანეცი, თუჯი, სინთეზური ამიაკი, სამაგისტრალო ელმავლები, სატვირთო ავტომანქანები, ცემენტი, შალის ქსოვილები, ტყავის ფეხსაცმელი, ხორცისა და რძის პროდუქტები და სხვ.

განვლილი შვიდწლედის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების საქმეში. აღსანიშნავია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, რომლებსაც ახლა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საქართველოს ეკონომიკაში და მათი პროდუქცია ცნობილი გახდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა შვიდწლედის პირმშოა. ელექტროძრავმა, ელექტროშედუღების მოწყობილობამ და სხვა სახის პროდუქციამ, რომელსაც ჩვენი მრეწველობა უშვებს, საერთო აღიარება ჰპოვა და ბევრი მათგანი აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტების დონეს. მომავალ წლებში ეს დარგი მნიშვნელოვნად გაიზრდება და კიდევ უფრო განვითარდება.

ხელსაწყოთა მშენებლობა ახალი დარგია ჩვენს რესპუბლიკაში. მის ნაწარმს ფართოდ იყენებს არა მარტო ჩვენი, არამედ აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების მრეწველობა. ამ დარგის შექმნით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ხელსაწყოთმშენებლობის შემდგომ გადიდებას.

შვიდწლედის მანძილზე საქართველოში ფართო განვითარება ჰპოვა ქიმიამ. ამ დარგს შეემატა ახალი მძლავრი საწარმოები. პირველად ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო კაპროლაქტამის წარმოება რუსთავში, მწყობრში ჩადგა ხელოვნური ბოჭკოს წარმოება. ქიმიის სიკეთეს უნდა მიეწეროს ის, რომ შვიდწლედში მინერალური სასუქების წარმოება წინა პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა.

# სააახალწლო ნობათი

## მეტროპოლიტენი სტარტის წინ

თბილისის გვირაბმშენის მეტრომშენებელთა კოლექტივმა პატაკით მიმართა სამშობლოს თბილისის მეტროპოლიტენის ასამუშავებელ უბანზე სამუშაოთა წარმატებით დამთავრების შესახებ. პატაკში, რომელსაც ხელს აწერენ თბილგვირაბმშენის უფროსი ვ. გოცირიძე, პარტბიუროს მდივანი გ. ბასიშვილი, მშენებელთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე რ. კვერგელიძე, გამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ობოლაძე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. დათაშვილი და გამყვანი ვ. ნიკოლაევი, ნათქვამია:

„თბილგვირაბმშენის“ მეტრომშენებლებმა, რომლებიც ჩაბმული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით შეასრულეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალება თბილისის მეტროპოლიტენის 6,3 კილომეტრის სიგრძის უბნის ექსპლოატაციაში ჩართვის შესახებ სადგურ „დიდუბიდან“ სადგურ „რუსთაველის მოედნამდე“.

თბილგვირაბმშენის ორი საერთო-სამშენებლო ორგანიზაციისა და მთელი რიგი ქვემოიჯარე სამონტაჟო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შემდგარმა მეტრომშენებლებმა რამდენიმე წლის განმავლობაში დაძაბული შრომით შეასრულეს 700 ათასი კუბმეტრი გრუნტის სამუშაოები, ჩაასხეს და ჩააწყეს 200 ათასი კუბმეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, გაიყვანეს 10 კილომეტრი გზა, ყველა საჭირო სამონტაჟო სამუშაო შეასრულეს და უბანი საექსპლოატაციოდ ჩააბარეს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის მაღალი შეფასებით. მეტროპოლიტენის ტრასით ერთმანეთთან დააკავშირეს თბილისის სამი ძირითადი რაიონი.

მეტრომშენებლები კიდევ უფრო დიდი ენერგიით განაგრძობენ მეტროპოლიტენის შემდგომი სამი გადასარბენის მშენებლობას, რათა მეტროს მოქმედ ხაზში ჩართონ ქალაქის ცენტრი და კიდევ ერთი სამრეწველო რაიონი — 26 კომისრის სახელობისა.

თბილისის გვირაბმშენის კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალება მეტროპოლიტენის მეორე უბნის მშენებლობის შესახებ შესრულებულ იქნება პირნათლად“.

## დახვავდა ოქროს ნაყოფი

ბათუმი, 29 დეკემბერი. (საქინფორმი). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეციტრუსეებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მკვეთრად გააუმჯობესეს ნარგავთა მოვლა და უმაგალითო მოსავალი მიიღეს. სულ დამზადებულია 24.249 ტონა ციტრუსი გეგმით გათვალისწინებული 18.825 ტონის ნაცვლად. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მანდარინისა და ფორთოხლის დამზადების დავალებანი.

უხვი მოსავლის მოწევისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ. ბათუმის რაიონის მეურნეობებმა 211,8 პროცენტით შეასრულეს ციტრუსოვანთა დამზადების გეგმა, ქობულეთის რაიონის მეურნეობებმა — 160,8 პროცენტით.

დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოფლის მშრომელებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი ათასობით ტონა ციტრუსი.

აჭარელი მეციტრუსეები თავიანთ შრომითს წარმატებებს უძღვნიან სკკპ XXIII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას.

# ზაჰესიდან — ენგურჰესამდე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოება კმაყოფილების, კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებს ყველა ქართველის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის გულს.

ეს საპატიო ჯილდო მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, შემართებით შრომაში გამოწრთობილი მშრომელი ადამიანების ყოველდღიური შეცადინეობის შედეგია.

ლენინის ორდენი!... ბრძენი ადამიანის მარად ცოცხალ იდეებს დაუკავშირა ჩვენმა ხალხმა თავისი აწმყო, მომავალი და სვებედნიერი გახდა. ლენინმა წამოაყენა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა — სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის შექმნის გეგმა.

როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს შევუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ საბოლოოდ. — ასე გვიწინასწარმეტყველა ბელადმა.

და დაისახა შესანიშნავი ამოცანა: კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია!

ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის ელექტროფიკაციის — გოელროს გეგმას.

საქართველო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წელს, გოელროს გეგმის მიხედვით შეუდგა მტკვარზე ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი), ერთ-ერთი პირველი მსხვილი საბჭოური ელექტროსადგურის მშენებლობას.

26 ივნისი, 1927 წელი. ქართველი ერი ზეიმობს პირველ გამარჯვებას. ჰესისა და გადამცემი ხაზის მშენებლობამ გადაჭრა საქართველოს მრეწველობის ენერგომომარაგების პრობლემა!

და აღუღუნდა მტკვარი მრავალტანჯული ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ზაჰესმა ჩააყენა ღამით სინათლე ჩვენს ბინებში, მან ააგუგუნა რკინის გულები ფაბრიკა-ქარხნებში, მან მოგვცა საშუალება გაგვემართა პირველი ელექტროფიცირებული რკინიგზა საბჭოთა კავშირში. ამ მხრივ კი ახლა ერთ-ერთი პირველები ვართ მსოფლიოში...

ლენინის ორდენი გამარჯვების ორდენია, ლენინის იდეების საქართველოში წარმატებით განხორციელების ეტალონი!

...უკანასკნელ ოცი წლის მანძილზე საქართველო მრავალმხრივ განვითარებული მრეწველობის რესპუბლიკად გადაიქცა. მრეწველობამ ძირეულად იცვალა სახე. ახლა ჩვენ ვუშვებთ ხუთჯერ მეტ ნაწარმს, ვიდრე დიდ სამამულო ომამდე. ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები 6 დღეში აწარმოებენ იმდენ პროდუქციას, რამდენსაც ისინი ამზადებდნენ 1940 წელს მთელი თვის განმავლობაში.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კარგად ცნობილია ქართული მაგისტრალური ელმავლები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, სატვირთო ავტომობილები, მილდასამუშავებელი ჩარხები, ჩაის საკრეფი მანქანები, ჩასაძირი ელექტროტუმბოები, ზუსტი ხელსაწყოები, მარგანეცი, ღვინო, ჩაი, კონსერვები, თამბაქო.

...ამაყად ისმის, გამარჯვების კანტატა, საქართველოს ელექტროსისტემის არფას რომ აუჟღერებია. დღეს ჩვენს სახალხო მეურნეობას ემსახურება ზაჰესი, რიონჰესი, აბჰესი, აჭჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, გუმათჰესები, ხრამჰესები, შაორჰესი, ტყიბულჰესი, ლაჯანურჰესი და სხვა მრავალი თბო და ჰიდროელექტროსადგურები.

დღეს საქართველო საბჭოთა კავშირში ჰიდროენერგიის ხვედრითი მნიშვნელობის მიხედვით (ტერიტორიის ფართობის ერთეულზე) პირველ ადგილზეა, ხოლო მსოფლიოში — ერთ-ერთი პირველთაგანია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით საქართველოში აღიზარდნენ გამოჩენილი ჰიდროენერგოსპეციალისტები, ინჟინრები, რომელთა დაუღალავი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად დღეს საბჭოთა საქართველომ, რომელიც გაერთიანებულია ჩვენი დიადი ქვეყნის ევროპული ნაწილის ყველაზე მძლავრ მოქმედ ენერგოსისტემაში, ჰიდროელექტროსადგურების ერთიანი სიმძლავრე გაზარდა 140-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — 90-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე ზაჰესის ამუშავების დროს.

ქართველი ენერგომშენებლების ტექნიკური აზრი არ ისვენებს! მაღლა მთებში წარმატებით მიმდინარეობს მსოფლიოში უნიკალური ენგურჰესის მშენებლობა. დიდია მისი მნიშვნელობა და მასშტაბები. ენგურჰესის ამუშავებით ჩვენი სახალხო მეურნეობა მიიღებს 80 პროცენტს იმ ენერგიისა, რასაც გვაძლევს დღეს საქართველოს მთელი ენერგოსისტემა...

ჟღერს საბჭოთა საქართველოს გამარჯვების, მისი ძლიერების კანტატა — ძმობის, ერთობის, თანასწორუფლებიანობის ჰიმნი!

მაღლა, სულ მაღლა ამაყად ფრიალებს საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელსაც დღეიდან ამშვენებს დიდი ლენინის ორი ორდენი.

ო. აროზელიძე.

# როგორ ვიზარდეთ

◆

იზრდება და იფურჩქნება სოციალისტური სოფელი

◆

ჩაი. ჩვენი რესპუბლიკა სსრ კავშირში ჩაის ძირითადი მწარმოებელია. საქართველო იძლევა სსრ კავშირში წარმოებული ჩაის 97 პროცენტს. შვიდწლედის პირველ წელს — 1959 წელს მოიკრიფა 140.000 ტონა ჩაის ფოთოლი, 1965 წელს—186.000 ტონა. შვიდწლედის მანძილზე საქართველომ აწარმოვა 1.178.200 ტონა „მწვანე ოქრო“, ანუ შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულზე 131.200 ტონით მეტი. რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე ჩაის ფოთლის მოსავლიანობამ 8.700 კილოგრამს მიაღწია.

ვენახი. 1955 წელთან შედარებით 1965 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების ფართობი 48,8 ათასი ჰექტარით გაიზარდა. ახლა 105.000 ჰექტარი ვენახები გვაქვს. მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. 1965 წელს სამშობლომ ქართველი მევენახეებისაგან მიიღო 244.000 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 230.000 ტონისა, ანუ გეგმაზე 14.000 ტონით მეტი. წლევანდელი მოსავალი 38.000 ტონით მეტია რეკორდულ 1962 წელს მიღებულთან შედარებით.

ციტრუსები. შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ქართველმა მეციტრუსეებმა სამშობლოს მისცეს 30.000 ტონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.400 ტონისა.

მარცვლეული. წელს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 71.362 ტონა მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70.000 ტონისა.

შაქრის ჭარხალი. რესპუბლიკაში 5.000 ჰექტარი შაქრის ჭარხლის ნათესებია. წელს ჩვენმა მეჭარხლეებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 122.862 ტონაზე მეტი შაქრის ჭარხალი ნაცვლად 120.000 ტონისა.

კარტოფილი. ახალი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის მეკარტოფილეებმა. სამშობლოს მისცეს 55.000 ტონაზე მეტი კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45.000 ტონისა.

ხილი. წელს გადაჭარბებით შესრულდა ხილის დამზადების გეგმა. ჯერ კიდევ 1 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 70.047 ტონა თესლოვანი ხილი ნაცვლად 60.000 ტონისა.

ხორცი. კარგად იშრომეს ჩვენმა მეცხოველეებმა. წელს გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 516.814 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 500.000 ცენტნერისა.

# გულით ნათქვამი

◆

თქვენთან ერთად ვზეიმობთ, ძმებო!

◆

ასეთი საზეიმო განწყობილების დროს, როცა გულში დიდი სიხარულია, ბევრს არ ლაპარაკობენ. გულწრფელი გრძნობით მივესალმები საქართველოს მშრომელებს — მუშებსა და კოლმეურნეებს, განსაკუთრებით კი მეცნიერებსა და კულტურის მოღვაწეებს და ვულოცავ ჩვენი მთავრობის უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს.

ქართველი და სომეხი ხალხები მუდამ იყოფდნენ ლხინსა და ჭირს. ახლაც ერთად ვართ ამ საზეიმო და სასიხარულო წუთებში.

ვიქტორ ამბარცუმიანი,
აკადემიკოსი, ქ. ერევანი.

რადიომ მეტად სასიამოვნო ამბავი მამცნო, შესანიშნავია, დიდებულია!

თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც არის, თქვენი სიხარული ჩვენი სიხარულია. ერთი დღე, და კარს ახალი წელი შემოაღებს.

ასე კარგად დაგვებედოთ!

ი. ლეონოვი,
ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის ნოვატორი მღარავი.

# ქართული მარკით — საზღვარგარეთ

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის აღმავლობისა და განვითარების ერთ-ერთი ნიშანსვეტი ისიც არის, რომ მრეწველობის მრავალმა პროდუქციამ თავისი მაღალი ხარისხითა და გამძლეობით მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მარტო ის ფაქტი, რომ მრეწველობის 40-მდე დასახელების ნაწარმი ქართული მარკით საზღვარგარეთ იგზავნება, მოწმობს საქართველოს მრეწველობის მაღალ დონეს.

ჭიათურის მარგანეცი თავისი ხარისხითა და საუკეთესო თვისებებით ცნობილია მთელ მსოფლიოში. ამიტომ მასზე დიდი მოთხოვნილებაა. მარტო შარშან მსოფლიოს თხუთმეტ ქვეყანაში, მათ შორის ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, პოლონეთში, ნორვეგიაში, ინგლისში 500 ათასი ტონა მარგანეცი გაიგზავნა, წელს ცხრა თვეში კი — 400 ათასი ტონა. ამ ძვირფას პროდუქციაზე მსოფლიო მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და სახეხი ჩარხების ქარხნების მიერ დამზადებულმა ლითონსაჭრელმა ზუსტმა ჩარხებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. ახლა ეს ნაწარმი მსოფლიო ბაზარზე მძლავრ კონკურენციას უწევს კაპიტალისტური ქვეყნების მიერ გამოშვებულ ამ სახის პროდუქციას. მარტო წელს თბილისური მარკით მსოფლიოს 20 ქვეყანაში 110-ზე მეტი ასეთი ჩარხი გაიგზავნა. იუგოსლავიის, ბულგარეთის, კუბის, პოლონეთის, ფინეთის, ეგვიპტის, ავსტრალიის, იტალიის და სხვა ქვეყნების მრეწველობაში მათ ფართო გამოყენება ჰპოვეს.

რუსთავის სახელი გასცდა ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ფარგლებს. აქ დამზადებულმა ზოგიერთმა ნაწარმმა მსოფლიო ბაზარზე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. მეტალურგიული ქარხნის მიერ გამოშვებული მილები და მილის ნამზადები, რომლებიც თავისი ხარისხით აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტების დონეს, ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ეგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანას. წელს ცხრა თვეში ასეთი სახის ნაწარმი საზღვარგარეთ 140 ათასი ტონა გაიგზავნა. მოთხოვნილება კი მასზე ყოველწლიურად იზრდება. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციამ მსოფლიოს ოც ქვეყანაში ჰპოვა ფართო გამოყენება.

მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომელიც არ იყენებდეს თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხანაში დამზადებულ მრავალ ზუსტ ხელსაწყოს, მათ შორის აქტინომეტრებს, გალვანომეტრებს, პინარომეტრებს და სხვ.

არტეზიულ წყალსატუმბავებს, რომლებსაც ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა უშვებს, ფართოდ იყენებენ კუბაში. წელს 98 ასეთი წყალსატუმბავი მიიღო კუბის სახალხო რესპუბლიკამ.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ბათუმის გემთსამშენებლო ქარხნის მიერ გამოშვებულმა წყალქვეშაფრთიანმა კატარღებმა. მიმდინარე წელს ასეთი 28 კატარღა გაიგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ი. ბექაშვილი.

## საყვარელი საქართველო



სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ერთი წუთითაც არ წყდება მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში; ასე გამოიყურება შვიდწლედის პირმშოს — რუსთავის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის ახალი საამქრო; ეს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია — მეცნიერული ცოდნის ტაძარი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# შრომის მადლი

**ახალი** წლის მიჯნაზე ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა, რომ საბჭოთა საქართველო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ეს ცნობა კანონიერ სიამაყეს აღუძრავს გურჯაანის რაიონის მშრომელებსაც, რადგან რესპუბლიკის საერთო წარმატებებში მათი დაუღალავი შრომის წვლილიც არის. ამ მაღალ ჯილდოს, დიდი და ნაყოფიერი მუშაობის მაღალ შეფასებას, ახალი საქმეებით ვუპასუხებთ.

როგორია გურჯაანელთა წვლილი? რა მაჩვენებლებით აცილებენ ისინი შვიდწლედის უკანასკნელ წელს?

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებამ, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის, 1965 წლის მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებმა, უზრუნველყო რაიონის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი წარმატება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ეკონომიური განმტკიცება.

განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვეს რაიონის მევენახეებმა. წელს მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 54.337 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.796 ტონისა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მარცვლეულის, მზესუმზირას, ბოსტნეულის, პარკის, ხილის, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. ასევე წარმატებით არის განაღდებული ახალი ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაშენების, საშემოდგომო თესვის, მზრალად ხვნის და მეცხოველეობის სულადობის გეგმები ყველა სახეში.

წელს ყურძნის უხვი მოსავლით შორს გაითქვა სახელი ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა", რომელსაც ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი დიმიტრი მამისაშვილი. კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 61 ცენტნერის ნაცვლად თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 105 ცენტნერი ყურძენი მიიღო და სახელმწიფოს მიჰყიდა 4.804 ტონა ხარისხოვანი ყურძენი, გეგმა კი 2.910 ტონას ითვალისწინებდა.

ამ კოლმეურნეობის ბრიგადაში, რომელსაც სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი კომუნისტი მიხეილ მეჩქევერიშვილი, 47 ჰექტარი მოსავლიანი ვენახის თითოეულ ჰექტარზე მიღებულია 113 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 55,7 ცენტნერისა. ბრიგადამ, რომელსაც კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ამირან შოშიაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ 59 ცენტნერის ნაცვლად 116 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. მარტო ამ ბრიგადამ სახელმწიფოს 570 ტონა ყურძენი მიჰყიდა. ეს კომუნისტის და მით უფრო პარტბიუროს მდივნის კარგი პირადი მაგალითია.

მოწინავე პოზიციებს მტკიცედ ინარჩუნებს ვაზისუბნის კოლმეურნეობა, რომელმაც 2.650 ტონის ნაცვლად აწარმოვა და სახელმწიფოს მიჰყიდა 4.151 ტონა ყურძენი. ცალკეულ ნაკვეთებზე ამ კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეებმა გიო და სოსო ლარიბაშვილებმა, გიორგი სოლომნიშვილმა და სხვებმა ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 160-190 ცენტნერამდე გაზარდეს.

**გურჯაანის** ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობამ 169 ჰექტარი მოსავლიანი ვენახის თითო ჰექტარზე 90,3 ცენტნერი ყურძენი მიიღო, 29,3 ცენტნერით მეტი გეგმასთან შედარებით, ხოლო რგოლმა, რომელსაც იოსებ ქოროღლიშვილი უდგას სათავეში, 11,7 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 150,7 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 50,5 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 63,3 ცენტნერი ყურძენი მიიღო, სულ აწარმოვა და პირველადი გადამუშავების ღვინის ქარხნებს ჩააბარა 4.633 ტონა ყურძენი.

დიდი წარმატებები მოიპოვეს მევენახეობაში აგრეთვე სოფლების შრომისა და კარდანახის საბჭოთა მეურნეობებმა, ჩუმლაყის, არაშენდის, ჭანდარის, ჯიმითის, ნანიანის კოლმეურნეობებმა.

შესანიშნავი შედეგებით ამთავრებენ სამეურნეო წელს ჩუმლაყის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეები თუ მხენელ-მთესველები, ვაზისუბნელი თუ არაშენდელი მეცხოველეები, სოფელ გურჯაანის კოლმეურნეობის მეფრინველეები. და მოწინავეთა ჩამოთვლა უბრალო სტატისტიკად როდი მიგვაჩნია. კარგი სამეურნეო მაჩვენებლები მოპოვებულია ადამიანთა მაღალი აქტივობის შედეგად, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ცოცხალი შემოქმედებითი მოღვაწეობით.

ადამიანთა აქტივობის ამაღლებას კი დიდად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებამ, რომელიც პარტიული და სამეურნეო ორგანოების ნამდვილ სახელმძღვანელოდ იქცა სოფლად მუშაობაში. კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებამ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შესასყიდი ფასების გადიდებამ, ერთიანი, მტკიცე გეგმების დაწესებამ და სხვა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, რაც მიმართულია სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისაკენ, განაპირობა მაღალნაყოფიერი შრომის კიდევ უფრო აზვირთება.

წელს რაიონის სამივე საბჭოთა მეურნეობამ — მუკუზნის, შრომისა და კარდანახის მეურნეობებმა — მიაღწია მაღალ რენტაბელობას. ამასთან ნაცვლად შარშანდელი 4,5 მილიონისა, კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 15 მილიონი მანეთი შეადგინა. ერთიორად და მეტად გაიზარდა შრომადღის ხვედრიც. მთელ რაიონში საშუალოდ ნაცვლად შარშანდელი 1 მანეთისა და 9 კაპიკისა წელს შრომადღის ღირებულება 2 მანეთისა და 25 კაპიკამდე გაიზარდა.

კოლმეურნეობებში განუყოფელი ფონდების ზრდა შესაძლებლობას იძლევა მეტი სახსრები იქნეს დაბანდებული სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ახალი საბავშვო ბაგებისა და ბაღების, საექიმო პუნქტების, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობისათვის. მაგალითად, 1966 წელს ჩალაუბანში, კალაურსა და არაშენდაში აშენდება ახალი საკოლმეურნეო კლუბები.

**ორი** თვის წინ რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე შევაჯამეთ გაწეული მუშაობის შედეგები და განვსაზღვრეთ ახალი სოციალისტური ვალდებულებები როგორც 1966 წლის, ისე მომდევნო წლებისათვის. დასახული გვაქვს კიდევ უფრო განვავითაროთ საზოგადოებრივი მევენახეობა, როგორც რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი, და 1970 წლისათვის სახელმწიფოს მივყიდოთ 60.000 ტონამდე ყურძენი. ეს 7.200 ტონით მეტი იქნება, ვიდრე მომავალი ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმით არის გათვალისწინებული.

**შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ და გავამრავლოთ მოპოვებული წარმატებები** — ასეთია რაიონის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება, რომლებიც ორგზის ლენინის ორდენოსანი საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად მხურვალე მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას გაწეული მუშაობის დიდი დაფასებისათვის.

**გ. აზაურაშვილი,**
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

## ალ. ბეგაშვილი

# გახაროს, გაბედნიეროს!

ქართულო მიწავ რძიანო,
დილის ცვრით გადანამულო,
ბარაქიანო, მზიანო,
სვებედნიერო მამულო.

კახეთის ვაზის ფესვებო,
კოლხეთის მწვანე სერებო,
სამშობლოს დარის ნიშანო —
ცისარტყელების ფერებო;

გულით მართალო, ალალო,
სულით ლამაზო, ნათელო,
შოთას სახელით ამაყო
სახელოვანო ქართველო;

სტუმრის მოყვარევ, კეთილო,
ძმასთან ძმავ, მტერთან ძლიერო,
მრავალ სიხარულს დაგასწროს,
გალაღოს, გაბედნიეროს!

გულებში სითბო გემატოს,
კარს — ხვავი, ზღვა მოსავალი,
ვაზო, კვირტები გეყაროს
ვარსკვლავებივით მრავალი!

კვლავაც ძირს იყოს დახრილი
ყანა თავთავის სიმძიმით,
გულს გვიშუქებდეს აპრილის
ატმის ყვავილის ციმციმი.

გულში სულ ხატად გვესვენოს
შოთა, აკაკი, ილია.
დედაენა და სამშობლო
სიცოცხლეზედაც ტკბილია!

გულით ალალო, მართალო,
სულით ლამაზო, ნათელო,
შოთას სახელით ამაყო
სახელოვანო ქართველო!

სტუმრის მოყვარევ, კეთილო,
ძმასთან ძმავ, მტერთან ძლიერო,
მრავალ სიხარულს დაგასწროს,
გალაღოს, გაბედნიეროს!

# მადლობა მშობლიურ პარტიას

**საბჭოთა საქართველო გახდა ორგზის ლენინის ორდენოსანი. ეს დიდ ჯილდოა.**

**1931-1941 წლებში ვმუშაობდი პლანტაციებში რიგით მკრეფავად. 1941 წლიდან ბრიგადირობა მომანდეს. ბრიგადაში 18 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გვაქვს. 1965 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 8 ტონა და 680 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

**ვამაყობ იმით, რომ ჩემმა მოწაფეებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. ბევრ მათგანს საშუალოდ ჰექტარზე მოჰყავს 12 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. ჩვენი შრომა ნამდვილად გახდა სახელისა და დიდების საქმე.**

**ვულოცავ ჩემი ქვეყნის მშრომელებს ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოებას. ვუსურვებ ჩემს თანამემამულეებს ახალ, დიდ გამარჯვებას. მადლობა მშობლიურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისათვის.**

**თამარ ჟუჟუნია,**
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

# მოგილოცავთ!

უხარია საქართველოს
ველებს, მთებს და კორდებს.
მზეც გვილოცავს დიდ სიკეთეს
და ლენინის ორდენს.
ეს ჯილდოა გამრჯე კაცის,
ჩაისა და ვაზის,
დაზგის, გუთნის, ბალის, ბრძმედის
და ნათელი აზრის.
დაილოცოს ჩვენი მხარე,
ჩვენი ზეცის ჭერი.
მღერის მიწა მადლით სავსე,
საქართველო მღერის.


მხატვარი ქ. მახარაძე.

# გლეხკაცის მარჯვენის მადლი

**ნაგომრის** კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა მახარაძის რაიონში. იგი მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. კოლმეურნეთა განკარგულებაშია 270 ჰექტარი ჩაის უხვმოსავლიანი პლანტაცია, რომელიც კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის წყაროა. სოფლის ცენტრი საქართველოს მთავარი გზის მარცხნივ არის განლაგებული, ნასაკირალის გადასასვლელის მახლობლად.

ახლა ეს სოფელი პატარა ქალაქს დამსგავსებია. ცენტრი დამშვენებულია ორსართულიანი კაპიტალური ნაგებობებით. აქვეა კანტორის დიდებული შენობა, საშუალო სკოლისა და ფართოეკრანიანი კინოთეატრის საუცხოო ნაგებობანი, სოფლის კოოპერატივი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საექიმო უბანი, უნივერსალური მაღაზია, სახერხი ქარხანა, ჩაის ფაბრიკა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთ დროს ჩამორჩენილი ნაგომარი ამ უკანასკნელი წლების მანძილზე აღორძინდა. ეს მოწინავე მეურნეობა თითქმის ყველა დარგში სანაქებოა.

ნაგომრელებმა კარგად აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს შვიდწლედში დაემზადებინათ 5.534 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ეს დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულდა. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 7.712 ტონა ფოთოლი, რაც 2.184 ტონით სჭარბობს შვიდწლედის დავალებას. შვიდწლედის ბოლოწლისათვის სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 32 ცენტნერამდე უნდა აეყვანათ. ფაქტიურად მიღებული აქვთ 45 ცენტნერი მარცვალი, რაც სარეკორდოა მახარაძის რაიონის პირობებში.

თითოეულ საფურაჟე ძროხაზე 1.600 კილოგრამი რძე უნდა მიეღოთ. მიღებული აქვთ 2.000 კილოგრამი. გეგმით გათვალისწინებული 5.200 კილოგრამის ნაცვლად 5.350 კილოგრამი აბრეშუმის პარკი აწარმოეს.

საგრძნობლად გაიზარდა ფულადი შემოსავალი, შვიდწლედის ბოლოსათვის კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი უნდა ყოფილიყო 1.050 ათასი მანეთი, ფაქტიურად ეს თანხა ამჟამად 1.120 ათას მანეთს აღემატება.

შვიდწლედის თითქმის ყველა წელს შრომისუნარიანი კოლმეურნის საშუალო დატვირთვა 257 კაცდღეს ითვალისწინებდა. ფაქტიური მონაცემებით კოლმეურნის წლიური საშუალო გამომუშავება 282 კაცდღეს შეადგენს. შვიდწლედის დავალება ყველა დარგში დიდი გადაჭარბებით შესრულდა.

1964 წელს კოლმეურნეობის ყველა ბრიგადა სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. წლის ბოლოს თავი იჩინა შრომის ანაზღაურების მეტ-ნაკლებობამ, იმ ბრიგადებში, სადაც მომჭირნეობით აწარმოეს მეტი პროდუქტები, უფრო მამაცურად იშრომეს, ანაზღაურებაც უკეთესი ჰქონდათ. მაგალითად ჯ. ინჯგირველის ბრიგადის წევრებმა გამომუშავებულ შრომადღეზე 4 მანეთი და 25 კაპიკი მიიღეს, ხოლო № 1 ბრიგადის (ხელმძღვანელი მ. თოიძე) წევრებმა — 3 მანეთი და 75 კაპიკი.

ამიტომ იყო, რომ ამ ბრიგადის მოწინავე კოლმეურნეებმა ნ. წიტაიშვილმა, გ. ლეჟავამ, გ. ხურციძემ, მ. წიტაიშვილმა, გ. როხვაძემ ყველა ღონისძიება იხმარეს, რათა მათ მხარში ამოსდგომოდნენ ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც საკოლმეურნეო შრომას გაურბოდნენ. ასეთები იყვნენ ნ. მელუა, მ. სარიშვილი, ს. სარიშვილი და სხვები. ახლა ეს კოლმეურნეები პირველობაში ეცილებიან მოწინავეებს.

ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ დიდი შრომითი დაინტერესება გამოიწვია. როცა შრომის მაღალი ანაზღაურება დაინახეს, იმათაც, ვინც ზარმაცობდნენ, პირი იბრუნეს კოლმეურნეობისაკენ, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ამის შედეგად 1964 წელთან შედარებით კოლმეურნეობაში ყოველი 100 მანეთის პროდუქციის წარმოებაზე შრომის დანახარჯი 3 მანეთით და 75 კაპიკით შეამცირეს. ჩაი შრომატევადი კულტურაა, მაგრამ ნაგომრელებმა საქმე ისე მოაწყვეს, რომ ცენტნერი ჩაის ნედლეულის წარმოებაზე შრომის დანახარჯი 2,3 მანეთით შეამცირეს. ამან დიდი ეკონომია მისცა არტელს.

— 15 წელზე მეტია ამ კოლმეურნეობას ვხელმძღვანელობ, — გვეუბნება ნაგომრელთა წინამძღოლი, საკოლმეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორი შალვა სარიშვილი. — ამ ხნის მანძილზე ბევრი სიკეთე იგემეს ჩვენმა კოლმეურნეებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ფრთა შეასხა კოლმეურნეთა შრომას, მის ბარაქას. წელს ჩვენ მთლიანი შემოსავლის 60 პროცენტს გავცემთ კოლმეურნეთა შრომის ძირითად ანაზღაურებაზე. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მთავარია შრომის ძირითადი ანაზღაურება; გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ, აპარატის მუშაკებს, გვრცხვენოდა კიდეც, რომ იმაზე მეტ ხელფასს ვიღებდით, ვინც დღედაღამ ოფლს ღვრიდა და მამაცურად შრომობდა;

ამჟამად ჩვენი არტელის შრომისუნარიანი წევრის თვიური ხელფასი საშუალოდ 90 მანეთს სჭარბობს, შარშან კი 78 მანეთს შეადგენდა. კოლმეურნეობის აპარატში მომუშავეთა ხელფასი თვიურად 70-80 მანეთს არ აღემატება. ამ დიდმა ღონისძიებამ ერთგვარი სამღვარი წაშალა ფიზიკურად მომუშავე კოლმეურნეთა და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს შორის. წელს კოლმეურნეები შრომადღეზე 4 მანეთსა და 25 კაპიკს მიიღებენ.

ჩვენ დავინტერესდით კოლმეურნეთა ძირითადი შრომის ანაზღაურებით. საერთო შემოსავლის დიდი ნაწილის (60 პროცენტის) განაწილებამ ერთიორად გააძლიერა კოლმეურნეთა შრომითი დაინტერესება. ახლა არტელში ერთი კაციც არ არის, რომელიც საზოგადოებრივ შრომას გაურბოდეს. აქ მტკიცედ არის დანერგილი ერთი სასარგებლო მეთოდი: ყოველი თვის ბოლოს კოლმეურნე სალაროდან აუცილებლად მიიღებს ხელფასს. ბევრია ისეთი მუყაითი კოლმეურნე, რომელსაც საშუალოდ თვეში 236-285 მანეთი ერგება.

ნაგომრელ კოლმეურნეებს კარგად ესმით შრომის ყადრი. დროულად სახავენ და ახორციელებენ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების უხვი მოსავლის მიღების ღონისძიებებს. მტკიცედ არის დანერგილი მოწინავეთა ხერხები და მეთოდები. მეჩაიეებმა გამგეობაში დააყენეს საკითხი, რომ მეტისმეტად ძველ პლანტაციებში მოსავალმა იკლო. ამ საკითხით დაინტერესდა კოლმეურნეობის გამგეობა და აგროპერსონალი, გადაწყვიტეს პლანტაციების განახლება. მძიმედ გასხლეს 100 ჰექტარზე მეტი. ბუჩქები ახალი ყლორტებით დაიფარა, მოსავალმა სამმაგად იმატა. თუ წინა წლებში ჰექტარზე 2-3 ტონა მოსავალს იღებდნენ, წელს განახლებულმა პლანტაციებმა ჰექტარზე 5-6 ტონაზე მეტი ნედლეული მოგვცა.

კოლმეურნეობის ყველა ბრიგადაში მოწყობილია საველე სასადილო, თავშესაფარი ფარდულები. მკრეფავები უზრუნველყოფილი არიან საწვიმრებით, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის მთელ მანძილზე განუწყვეტელი კრეფა არ შეფერხებულა.

კოლმეურნეობაში დიდი პატივისცემით სარგებლობს მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა. ამის შედეგი იყო, რომ აქ 200-მდე კოლმეურნემ ჩაის, სიმინდის სარეკორდო მოსავალი მიიღო, ახლა ლაპარაკი როდია ერთ და ორ მუქურაზე. თვითონ კოლმეურნეობაა მუქურა, თითქმის ყველა კოლმეურნე უხვი მოსავლის ოსტატია. მეჩაიეობის ბრიგადამ, რომელსაც ბ. წიქარიძემ ხელმძღვანელობს, 150 ტონა „მწვანე ოქრო" მოკრიფა, ჰექტარზე 7.246 კილოგრამი ნედლეული მიიღო. სოციალისტური შრომის გმირის შ. წიქარიძის რგოლის მეჩაიეებმა ჰექტარზე 8.248 კილოგრამი მოსავალი მიიღეს.

წარჩინებულმა კოლმეურნეებმა ლ. მაღულარიამ, ვ. მუჟაბანიანმა, ხ. წიტაიშვილმა 8-10 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს სეზონში.

ნაგომრელები მაქსიმალურად იყენებენ ადგილობრივ რეზერვებს. მაგალითად წინა წლებში კოლმეურნეობას მეცხოველეობისათვის საკვების შეძენაზე 40-50 ათასი მანეთი ეხარჯებოდა. ახლა ადგილობრივი საკვები რეზერვები გამონახეს, ყოველ წელს ათეულ ჰექტარზე თესავენ შუალედ კულტურებს და ჰექტარზე 80 ცენტნერზე მეტ მწვანე მასას იღებენ. პირუტყვი უზრუნველყოფილია იაფი საკვებით. ამით გახდა მეცხოველეობა რენტაბელური დარგი.

ნაგომრელმა კოლმეურნეებმა შვიდწლედი დიდი წარმატებით დაავირგვინეს. ამ დღეებში გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე საქმიანი საუბარი ჰქონდათ. აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს: ახალ ხუთწლედში მოკრიფონ სულ ცოტა 7.200 ტონა „მწვანე ოქრო", სიმინდის მთლიანი ნათესის საშუალოდ ჰექტარზე ხუთწლედის ბოლოს მიიღონ 55 ცენტნერი მოსავალი, საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე — 2.500 კილოგრამი რძე.

ყოველი 100 მანეთის პროდუქციის წარმოებაზე შრომისა და ფულადი დანახარჯი ყოველწლიურად შეამცირონ 7-8 პროცენტით. ხუთწლედის პირველ წელს — 1966 წელს მოკრიფონ სულ მცირე 1.400 ტონა ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 50 ცენტნერი სიმინდი. სახელმწიფოს მიჰყიდონ 60 ტონა რძე, 10 ტონა ხორცი 5.500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ვალდებულების განაღდება დაწყებულია. ნაგომრელებმა რაიონში პირველმა დაიწყეს ჩაის პლანტაციების გადაბარვა მინერალური სასუქების შეტანით.

ნაგომრელი კოლმეურნეები ამთავითვე მტკიცე საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. მათ ახალი ხუთწლედის შესრულების საიმედო რეზერვები აქვთ.

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

**სიხარული ალმაზებს ბალებსა და ვაზებს.**
**მზეც ქართველი გლეხკაცივით ილიმება ცაზე.**

# გულით ნათქვამი

## თქვენთან ერთად ვზეიმობთ, ძმებო!

გულით ვულოცავ საქართველოს მშრომელებს ლენინის ორდენით დაჯილდოებას. ამის შესახებ რადიოთი მოვისმინე და უსაზღვროდ გამიხარდა.

წარსულ გაზაფხულზე ვიყავი გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" ზვრებში და აღფრთოვანებული დავრჩი ველისციხელთა შრომით. ამას წინათ კი შევიტყე, რომ მათ საქართველოში ყველაზე მეტი ყურძენი დაამზადეს.

ეს დიდი ჯილდო მათაც ეკუთვნით, ვინაიდან საქართველოს სოფლის მშრომელთა დიდ გამარჯვებაში მათ საპატიო წვლილი შეიტანეს. გულით ვულოცავ ამ ჯილდოს ველისციხელ მშრომელებს, საქართველოს ყველა მშრომელს, მთელ ქართველ ხალხს!

**მ. პოსმიტნი,**
უკრაინის სსრ ოდესის ოლქის ბერიოზოვკის რაიონის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

◆

**ჩემო ქართველო ძმებო და მეგობრებო! მართალი გითხრათ, ამაზე უფრო სასიხარულო ამბავს ვერც ინატრებდა ადამიანი ამ წინასაახალწლო დღეებში. გამოგიტყდებით, მეამაყება, რომ თბილისში ვარ დაბადებული და ამიტომაც განსაკუთრებით ახლოა ჩემთვის თქვენი ყოველი წარმატება და გამარჯვება, თქვენი სახელი და დიდება.**

**თავს უფლებას მივცემ მთელი აზერბაიჯანელი ხალხის, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელით მხურვალედ მოგესალმოთ და გულითადად მოგილოცოთ ლენინის ორდენი.**

**ნიაზი,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი,

ქ. ბაქო.

# პირნათლად ვატაროთ

**კიდევ** ერთი ნათელი და უტყუარი საბუთი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა, ჩვენი ხალხის გამრჯე და მუხლჩაუხრელი შრომით მოპოვებულ გამარჯვებათა ღირსეული შეფასებისა — ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მთავრობის უმაღლესი და საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი.

ვინ მიიღო იგი? ვის მკერდს დაამშვენებს თავისი კეთილშობილი ბრწყინვალებით?

ეს საპატიო და საამაყო ჯილდო მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანმა მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ, მრეწველობის მოწინავეებმა, გმირმა მეჩაიეებმა და მევენახეებმა, საკოლმეურნეო სოფლის გამრჯე ადამიანებმა, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეებმა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელმა, რომლებმაც თავიანთი მუყაითობითა და სახალხო საქმისადმი ერთგულებით თესეს და მოიმკეს საქართველოს ხვავი, ბარაქა და სამშობლოს ძლიერების ბეღელში შეიტანეს...

დიდად საპატიო და საამაყო სახელს პირნათლად უნდა ტარება. ჩვენ ყველანი, მუშა თუ კოლმეურნე, მეცნიერი თუ მწერალი, კომპოზიტორი თუ მსახიობი, მოვალენი ვართ სამართალი და ხელმართალი ვიყოთ ჩვენი საქმის, ჩვენი ხალხის წინაშე, რათა პირნათლად და შეურცხვენლად ვატაროთ ორგზის ლენინის ორდენოსანი რესპუბლიკის საამაყო სახელი.

**სერგო ზაქარიაძე,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

## საყვარელი საქართველო


სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში; ყვარლელმა მევენახეებმა მოიმკეს დაუღალავი შრომის ნაყოფი — ქარვისფერი ყურძნით აავსეს მარნები; მთების ფერდობები გაუვსიათ დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის საბჭოთა მეურნეობის ცხვრის ფარებს.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.



# საქართველოში

## გამარჯვებულნი

### სპორტული ზეიმი

ჩვენში კარგი ტრადიცია შეიქმნა. ყოველი წლის მიწურულში იმართება შემაჯამებელი საღამო, რომელზეც თბილისელი მშრომელები საზეიმო შეხვედრას უმართავენ სპორტული წლის გმირებს — ახალგაზრდობასა და ვეტერანებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დიდ სარბიელზე — მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატებში.

არა ერთი ტრიუმფალური გამარჯვება ჰქონდათ წელს საქართველოს წარმომადგენლებს. 33 ოქროს, 29 ვერცხლის და 33 ბრინჯაოს მედალი ჭეშმარიტად გრანდიოზული და საამაყოა. და აი 28 დეკემბერს სპორტის სასახლეში თბილისელებმა ერთხელ კიდევ გაიცნეს თავიანთი საყვარელი ადამიანები, მიმდინარე წლის სპორტული გმირები.

ლამაზად მორთულ სპორტის სასახლეში ეხედავდით დიდ სარბიელზე მოპოვებულ არა ერთ ნადავლს, ამ გამარჯვებათა ავტორებს, მკერდდამშვენებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს.

მთავრობის ლოჟაში არიან ამხანაგები: მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ა. ნ. ინაური.

საღამო გახსნა საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. მას მოჰყავს ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ საქართველოს სპორტსმენთა წარმატებებს დიდ პაექრობებში, ასახელებს აქ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს. ტრიბუნებს ერთსულოვანი ტაში მოსწყდა.

სპორტული კომენტატორები ე. მანჯგალაძე და ქ. მახარაძე გვამცნობენ ზეიმის დაწყებას. ველოსიპედით შემოდის მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტერულ რბოლაში ჩვენი სახელოვანი თანამემამულე სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ფხაკაძე, რომელსაც მოჰყვებიან სსრ კავშირის ჩემპიონები გაიონდევნებით რბოლაში ი. კავსაძე და ო. პროკოპენკო. მათ მიესალმნენ ველოსპორტის ვეტერანები, თაიგულები უძღვნეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

შემდეგ მოედანი ეთმობა მოჭიდავეებს, რომელთათვის მიმდინარე სეზონი ნაყოფიერი, ნამდვილად ტრიუმფალური იყო. მათ მოჰყვებიან—ძალოსანი ა. ჭეჭელავა, მოფარიკავეები ნ. ასათიანი და გ. კოსტავა, მთამსვლელები მ. ხერგიანის მეთაურობით, მოთხილამურეები, ჩოგბურთელები, მძლეოსნები, კალათბურთელები, ხელბურთელები.

ახლახან დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში ტანმოვარჯიშე ქალის ა. ჯანუყაშვილის გამოსვლამ საერთო აღიარება ჰპოვა. ამ ზეიმზე მან გვიჩვენა დიდი გემოვნებით შესრულებული რთული თავისუფალი ვარჯიში.

სროლით მოდიან ჩვენი სახელოვანი მესტენდურები — ე. მელიქიშვილი, ზ. მარხანელი და ი. საგანელიძე. გვესმის დიქტორის ხმა — ნეტავ ვისი მაყრიონია? და მოედანზე შემოდის მხედარი — ჭადრაკის დედოფალი, მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. იგი საქართველოს სპორტსმენთა სახელით მადლობას უხდის პარტიას, მთავრობას იმ დიდი მზრუნველობისათვის, რომლითაც გარემოსილი არიან სპორტსმენები და პირობას სდებს კვლავაც ასახელონ სამშობლო.

• • •

სურათებზე: ჭადრაკის დედოფალი, მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მიმდინარე წლის № 1 საბჭოთა სპორტსმენი, „ველოსპორტის ვეფხვად“ აღიარებული მსოფლიოს ჩემპიონი ომარ ფხაკაძე სპორტის სასახლეში გამართულ სპორტულ ზეიმზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.





## საახალწლო სუფრისათვის

ხობი. (საქ. კორ.). „ოქროს“ რთველი ახლახან დამთავრდა კოლხიდაში. ხეთის მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი საახალწლო სუფრის დასამშვენებლად გაეგზავნა მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის, სვერდლოვსკის მშრომელებს. ხეთის რკინიგზის სადგურში დატვირთული ეშელონები ამ დღეებში წავლენ ჩვენი ქვეყნის დიდი სამრეწველო ცენტრებისაკენ, რათა კოლხიდის მადლიანი მიწის ნაყოფი საახალწლოდ ჩაუტანონ მშრომელებს...

წელს ციტრუსების ბარაქიანი მოსავალი მიიღო ხეთის კოლმეურნეობა „კოლხიდამ“. აქ 80 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 120 ტონაზე მეტი ციტრუსების ნაყოფი ჩააბარეს.

მანდარინის უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში და ხამისქურის კოლმეურნეობაში.

## საიუბილეო საღამო ქუთაისში

ქუთაისი. (საქ. კორ.). ამ დღეებში ქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის დაბადების 60 წლისთავი.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა დ. კვიცარიძემ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა, პოეტმა გ. სამხარაძემ.

საიუბილეო საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა.

## აქ ზამთარშიც გაზაფხულია

ქართულ ჩუქურთმებში, დიდ ხელოვანთა ფრესკებსა და ორნამენტებში ადამიანის თვალსა და გონებას იპყრობს ხელოვნების მარადუჭკნობი სიახლე, ქვაში სულჩადგმული, თავისებურად ამღერებული სიცოცხლე.

ერთი შეხედვით ყველა ეს ფრესკა ერთმანეთის მსგავსია, ეს ჩუქურთმები სვეტზე თუ სვეტისთავზე ერთნაირია, ეს ოქრონაჭედობა, ხელნაწერთა მოხატულობა თითქოს ერთმა კაცმა ერთი ხელის მოსმით მოაქანდაკა.

ამ თითქოსდა მსგავსების საფუძველია ხელოვანთა საოცარი სითამამე, სილამაზისა და მშვენიერების შეგრძნობის ერთნაირად დიდი უნარი. შთაგონების ერთიანი წყარო: სამშობლო მთების, ველ-მინდვრების, მყინვარებისა და წალკოტების, მზისა და ლურჯი ცის სიკამკამე, სილაღე და ბუმბერაზობა. მათი საოცარი მსგავსება ერთმანეთთან და უფრო საოცარი თავისთავადობა.

— საქართველოში ზამთარშიც გაზაფხულიაო, — ამბობენ პოეტები, სასახლეებს რომ აშენებენ, ღია აივნებსა და განიერ ფანჯრებს გვთავაზობენ ხუროთმოძღვრები, ზამთარშიც — „მზე შინა და მზე გარეთაო“, მღერიან ქალაქად და სოფლად.

ასე რომ არ იყოს, რა ძალა აალაჟვარდებდა დეკემბერში თბილისის ცას, რა გამოიყვანდა ამდენ ხალხს მოედნებსა და ბაღებში სასეირნოდ.

ასე რომ არ იყოს, რა მისცემდა მასაზრდოებელ წვენს ფეხმრუდე ვაზებს ალაზნის ველზე, რა აარაკრაკებდა მეცხვარის სალამურს შირაქში. რა ჩააყენებდა ხეში წყალს ქართლისა და მესხეთის ხეხილის ბაღებში.

ეს რომ არ იყოს, რა მიანიჭებდა ასეთ მომხიბვლელობას ჩვენს კურორტებს... დეკემბერში რა ძალა გაათბობდა შავი ზღვის ტალღებს, რომ შიგ ადამიანს ებანავნა.

როგორ ჰგავს თავისი მომხიბვლელობით ქართული ორნამენტი საქართველოს ბუნებას. თუნდაც ავიღოთ ბაკურიანი და ზღვისპირეთი. ერთგან — ბაკურიანში ახლა თოვლია, თხილამურებს საქმე გაუჩნდა და თვალწარმტაცი ხეობა, ნაძვნარები და ფიჭვნარები ახალგაზრდობის ჟრიამულს მოუცავს. ზღვისპირეთში კი... მაგნოლია ჰყვავის, კვირტები უსკდებათ ცისფერ და ვარდისფერ ყვავილებს, ხეს ფოთლები ჯერ არ გასცვივნია, ზღვაში სითბო არ მიქცეულა და ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები ზამთრის სუსხს სულაც არ გრძნობენ.

თითქოს ქვეყნის სხვადასხვა სარტყელზე იყოს საქართველოს ეს ორი მხარე, ერთმანეთისაგან სულ ასიოდე კილომეტრით დაშორებული.







სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — სოხუმის ბოტანიკური ბაღის ლაბორანტი ინა ქუთელია აყვავებულ ქრიზანთემებთან; გასეირნება თხილამურებით ბაკურიანში; სანატორიუმ „სოხუმის“ დამსვენებლები ზღვისპირეთის პლაჟზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა („კომუნისტი“) და ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## უცხოეთის ამბები

### ზარბაზნები კარაქის ნაცვლად

#### პრეზიდენტი ჯონსონი თათბიროფს

ვაშინგტონი, 29 დეკემბერი. საქდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება: გუშინ პრეზიდენტმა ჯონსონმა თავის ტეხასის რანჩოში თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან ერთად განიხილა 1966 საფინანსო წლის ახალი სამხედრო ბიუჯეტი და ომის მიმდინარეობა ვიეტნამში.

პრეზიდენტი ჯონსონი აგრეთვე ეთათბირა ტელეფონით სახელმწიფო მდივანს რასკს, სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ბოლსა და ფინანსთა მინისტრს ფაულერს.

ვიეტნამში ომის გაფართოებამ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა წინაშე დააყენა არჩევანი: ზარბაზნები თუ კარაქი, და, როგორც კონგრესმენთა, მთავრობის მოხელეთა და ამერიკის პრესის გამონათქვამებიდან ჩანს, პრეზიდენტ ჯონსონს განზრახული აქვს ზარბაზნებს მიანიჭოს უპირატესობა.

ახალი ბიუჯეტის პროექტი კონგრესს წარედგინება მომავალი წლის იანვარში, მაგრამ უკვე ახლა სავსებით ნათელია, რომ სამხედრო ხარჯები ბევრად გაიზრდება, ხოლო ხარჯები სოციალური და სხვა საჭიროებისათვის მკვეთრად შემცირდება.

დემოკრატი სენატორი მონრონი აცხადებს, რომ 1966 წელს კონგრესის საქმიანობაში მთავარი ყურადღება სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად დაეთმობა ვიეტნამის ომს.

რესპუბლიკელთა ლიდერმა წარმომადგენელთა პალატაში ფორდმა განაცხადა, არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ვაფინანსებდეთ ვიეტნამის ომს და განვაგრძობდეთ სოციალურ პროგრამათა განხორციელებას, და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია შემცირდეს პროგრამები, რომლებიც ომთან არ არის დაკავშირებულიო.

ფორდს მხარი დაუჭირა რესპუბლიკელთა მეორე ლიდერმა მელვინ ლეირდმა.

სოციალურ საჭიროებათა ხარჯების შეკვეცა ვიეტნამის ომის დაფინანსების სასარგებლოდ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ამერიკელებში. როგორც ბევრი ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველი ვარაუდობს, ეს შეიძლება ძვირად დაუჯდეს ჯონსონის პარტიას კონგრესის 1966 წლის ნოემბრის მომავალ არჩევნებში. დემოკრატებმა შეიძლება დაკარგონ ბევრი ადგილი, რომელიც ახლა მათ ეკუთვნით.

### დე გოლი პრეზიდენტად გამოაცხადეს

პარიზი, 29 დეკემბერი. (საქდესი). საფრანგეთის კონსტიტუციური საბჭოს თავმჯდომარემ გასტონ პალევსკიმ გუშინ საღამოს ოფიციალურ ცერემონიაზე გამოაცხადა, რომ გენერალი დე გოლი არჩეულია საფრანგეთის პრეზიდენტად.

გასტონ პალევსკიმ მოიყვანა კენჭისყრის მეორე ტურის საბოლოო შედეგები, რომელიც 19 დეკემბერს გაიმართა. ეს შედეგები, რომელშიც შედის კენჭისყრის შედეგები როგორც თვით საფრანგეთში, აგრეთვე მის ზღვისიმიერ ტერიტორიებზე და დეპარტამენტებში, შემდეგია:

რეგისტრაციაში გატარებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი — 28.902.704; კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო — 24.371.647; კანონიერი აღმოჩნდა 23.703.434 ბიულეტენი; დე გოლს ხმა მისცა 13.083.699 ამომრჩეველმა, ფრანსუა მიტერანს — 10.619.735 ამომრჩეველმა.

### ფანფანი გადადგა

რომი, 28 დეკემბერი. (საქდესი). იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფანფანიმ დღეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ალდო მოროს გაუგზავნა წერილი გადადგომის შესახებ. ეს გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა, როგორც თვით ფანფანიმ განაცხადა, კერძოდ, გამოწვეულია „იმით, რომ დაუსაბუთებლად და უსამართლოდ გამოთქვეს აზრი“ მის შესახებ.

როგორც ჩანს, ფანფანის მხედველობაში აქვს ინტერვიუ, რომელიც ნეოფაშისტურმა ყოველკვირეულმა „ბორგეზემ“ გამოაქვეყნა.

როგორც ამბობენ ეს ინტერვიუ ჟურნალის თანამშრომელს ჯანა პრედას თითქოს ჰქონდა ფლორენციის ყოფილ მერთან ჯორჯო ლა პირასთან. „ინტერვიუში“ მოყვანილია ლა პირას სხვადასხვა გამონათქვამი იტალიელი პოლიტიკური მოღვაწეების, მათ შორის ფანფანის შესახებაც. თვით ლა პირამ გაზეთებს გაუგზავნა უარყოფა, რომელშიც ნათქვამია, რომ არავითარი ინტერვიუ არ ჰქონია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელს ფანფანისა და ზომიერ ქრისტიან დემოკრატებს შორის, რომლებსაც მორო მეთაურობს, დიდი ხანია სერიოზული უთანხმოებანია. ფანფანიმ წელს უკვე ორჯერ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

### მგრაესი კმაყოფილია

ბონი, 28 დეკემბერი. (საქდესი). ბონელი „ულტრები“ არ ფარავენ თავიანთ კმაყოფილებას კანცლერ ერჰარდისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონის მოლაპარაკების შედეგების გამო. მათ ამ მოლაპარაკების შედეგები მიაჩნიათ კიდევ ერთ ნაბიჯად იმ გზაზე, რომ ბუნდესვერს წილი დაუდონ ატომური იარაღის არსენალში.

## საჩუქარი მეხანძრეებს

მაიაკოვსკი. კარგი საახალწლო საჩუქარი მიიღეს რაიონის მეხანძრეებმა და მშრომელებმა. დაბის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე ხარაჩოები ჩამოხსნეს სახანძრო დეპოს ორსართულიან შენობას. შენობა ტიპური პროექტით ააგეს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს მშენებლებმა.

გ. მჟავანაძე.

## მოკლედ

● ქუთაისი. (საქ. კორ.). ოცზე მეტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის ობიექტებზე. ამ დღეებში მშენებელთა კლუბში გაიმართა მეგობრობის დიდი საღამო.

საღამოს მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობაზე. დამსწრეთ მიესალმნენ და თავიანთ შრომასა და ცხოვრებაზე მოუთხრეს სომეხმა რ. სიმონიანმა, აზერბაიჯანელმა მ. ულუბაევმა, ქართველმა ნ. შარვაშიძემ და სხვებმა.

● წალენჯიხა. (საქ. კორ.). წელს სქურის მინერალური წყლის ჩამომსხმელმა ქარხანამ 2,5 მილიონ ლიტრზე მეტი „სქური“ მიაწოდა ჩვენი ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებს.

მინერალური წყლის სადღეღამისო დებიტი 170 ათასი ლიტრია. ამიტომ ჩამომსხმელი ქარხნის დირექციას გათვალისწინებული აქვს ქარხნის სიმძლავრე 5 მილიონ ლიტრამდე გაზარდოს.

● ონი. (საქ. კორ.). სოფელ გომიდან კარგა მოშორებით ამოჩუხჩუხებს მთის ანკარა წყარო. მაგრამ იგი დღემდე გამოუყენებელი იყო. გომელმა კოლმეურნეებმა ითავეს და სპეციალური წყალსადენით წყაროს წყალი სოფელში გამოიყვანეს.

ჭადრაკი

## ფიშერის მარცხი

ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა. ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად გროსმაისტერ რ. ფიშერს მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ტურამდე მან ერთადერთი პარტია წააგო ს. რეშევსკისთან.

## კალკუტის კორტებზე

კალკუტაში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს აზიის ქვეყნების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. საბჭოთა სპორტსმენებმა ა. მეტრეველმა, თ. კაკულიამ და ტ. სოომემ ჩინებული სტარტი აიღეს. ტ. სოომემ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და ნახევარფინალში გავიდა. შეუპოვარი აღმოჩნდა ინდოეთის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის მუკერჯისა და თბილისელი თ. კაკულიას ორთაბრძოლა. ასპარეზობა საათნახევარზე მეტს გრძელდებოდა და დამთავრდა ინდოელი ჩოგბურთელის გამარჯვებით.

## კოხტაგორაზე

ბაკურიანი. (საქ. კორ.). ბორჯომის ხეობის ამ ულამაზეს კუთხეში თავი მოიყარეს ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა მოთხილამურეებმა. გუნდები გაყოფილია ორ ჯგუფად. პირველში შედიან „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ მოთხილამურეები. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია 12 ფიზკულტურული კოლექტივი.

სლალომისტ ვაჟთა შორის უძლიერესი იყო შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე ვ. ტალიანოვი. აქ გამარჯვება ხვდა სპორტის ოსტატ გ. აბრამიშვილს („დინამო“). ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ლ. გოგოლაშვილმა („კოლმეურნე“).

ქალთა სათხილამურო გადარბენაში სამ კილომეტრზე წარმატება ვ. გავას ხვდა, ვაჟთა შორის 10 კილომეტრზე გადარბენაში — ნ. ბიტიუკოვს. 45-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში პირველი სამი ადგილი თანმიმდევრულად გაინაწილეს მ. გავამ („დინამო“), გ. თვაურმა („კოლმეურნე“) და ა. გავამ (ბაკურიანის სკოლა).

პირველ ჯგუფში წინ არის „დინამოს“ გუნდი, მეორეში — ბაკურიანის სკოლის მოთხილამურეთა კოლექტივი.

## ირინა სპასკაია — ჩემპიონი

მოსკოვში დამთავრდა მატჩი ი. სპასკაიასა და ი. ცინეს შორის ასუჯრედიან შაშში სსრ კავშირის პირველობაზე ქალთა შორის. გუშინ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ი. სპასკაიამ და ჩემპიონი გახდა.

## მსოფლიოს ჩემპიონატის ირგვლივ

როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრები დაიწყება 12 ივლისს. ამ დღეს მატჩები გაიმართება „უემბლის“ (ლონდონი), „ევერტონის“, „შეფილდ უენსდეისა“ და „მიდლსბროუს“ სტადიონებზე.

ფინალური ასპარეზობა შედგება შაბათს, 30 ივლისს „უემბლის“ სტადიონზე.

„ა“ ჯგუფის გუნდები ითამაშებენ ლონდონში, „უემბლისა“ და „უაიტ სიტის“ სტადიონებზე.

„ბ“ ჯგუფის გუნდები გამოვლენ ჩრდილოეთ ინგლისში, „სანდერლენდისა“ და „მიდლსბროუს“ სტადიონებზე.

„ც“ ჯგუფის გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან „მანჩესტერის“ და „ევერტონის“ სტადიონებზე.

„დ“ ჯგუფის გუნდები ითამაშებენ „შეფილდისა“ და „ასტონ ვილას“ სტადიონებზე.

ჯგუფების მატჩები გაიმართება 12, 13, 15, 16, 19 და 20 ივლისს, მეოთხედფინალური თამაშები — 23 ივლისს „უემბლის“, „სანდერლენდის“, „ევერტონისა“ და „შეფილდის“ სტადიონებზე. პირველი ნახევარფინალური მატჩი გაიმართება ორშაბათს, 25 ივლისს „ევერტონის“ სტადიონზე, ხოლო მომდევნო დღეს შედგება მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე. მატჩი მესამე პრიზიორის გამოსავლინებლად შედგება იმავე სტადიონზე ხუთშაბათს, 28 ივლისს.

„კომუნისტი“ სპორტი

## სპორტული ქრონიკა

□ გუშინ ფლორენციაში გაიმართა გადამწყვეტი მატჩი ფეხბურთში ბულგარეთისა და ბელგიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ბულგარელებმა, ანგარიშით 2:1 და მსოფლიოს პირველობის მეთექვსმეტე ფინალისტები გახდნენ.

□ ამერიკის შეერთებული შტატების საკურორტო ქალაქ კოლორადო-სპრინგსში მორიგი მატჩი სსრ კავშირის ნაკრებს ჰქონდა კანადის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 6:2.

□ ახლოვდება ახალი წელი და მასთან ერთად ახალი სპორტული სეზონიც, რომელიც მრავალმხრივი და მიმზიდველი იქნება ახალ წელს ჩვენი სპორტსმენების ერთი ჯგუფი (66 კაცი) საზღვარგარეთ შეხვდება. საბჭოთა ჰოკეისტები გამოდიან კოლორადო-სპრინგსის ტურნირში, მძლეოსნები დების თამარ და ირინე პრესების მეთაურობით — ახალ ზელანდიაში, ჩოგბურთელები ა. მეტრეველი და თ. კაკულია — კალკუტაში, გროსმაისტერები ბ. სპასკი და ე. ვასიუკოვი — ჰასტინგსში და სხვ.

შემთხვევები

## მილიციელის მამაცობა

ამას წინათ რიონის რკინიგზის სადგურში ასეთი შემთხვევა მოხდა: № 84 სახალხო მატარებელი თბილისი-როსტოვი ბაქნიდან დაიძრა. დაგვიანებულმა მგზავრმა ქალმა მოინდომა დაძრულ მატარებელზე ასვლა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და ორივე ხელით ვაგონის სახელურს ჩამოეკიდა.

ამას თვალი მოჰკრა რიონის სადგურის მილიციის ლეიტენანტმა ზურაბ ჯიქიამ. იგი მატარებელს დაედევნა, გასაჭირში მყოფ მგზავრს ხელი დასტაცა და ვაგონში აიყვანა.

მილიციის მუშაკის მამაცობამ როსტოველი მგზავრი ევდოკია დრობოტოვა სიკვდილს გადაარჩინა.

ივ. ბუხაიძე.

## გრიგალი ტიქსიზე

ტიქსის გრიგალმა გადაუარა. ქარის სიჩქარემ ორმოცდაათ მეტრს მიაღწია წამში, მსხვერპლი და ნგრევა არ გამოუწვევია. არქტიკული დაბის ქუჩებში ბულდოზერები მუშაობენ — ქუჩებს წმენდენ უზარმაზარი ნამქერებისაგან. ზოგან გზამ ორ-სამ მეტრ სიმაღლეზე „აიწია“.

გრიგალი ჯერ კიდევ ორშაბათს, 20 დეკემბერს, დაიწყო და გააფთრებით დაატყდა თავს სანაპიროს ვიწრო ზოლს. შეუძლებელი იყო ფეხზე დგომა. ხილვადობა ძალზე ცუდი იყო — ერთი ხელის დადებაზე წინ არაფერი ჩანდა. ტიქსის რადიომეტცენტრის სინოპტიკოსებმა განაცხადეს, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ასეთი მძლავრი გრიგალი მესამედ მოხდა. ციკლონი, რომელმაც ტიქსის გადაუარა, წარმოიქმნა იმის შედეგად, რომ ერთმანეთს შეეჯახნენ არქტიკის ცივი ჰაერის მასა და ატლანტიკიდან მონაბერი მძლავრი თბილი ნაკადი.

ზუსტი პროგნოზის შედეგად ტიქსიელები წინასწარ მოემზადნენ მრისხანე სტიქიის შესახვედრად. გრიგალმა უმნიშვნელო ზარალი გამოიწვია.

ახლა დაბის მაღაზიებში გაჩაღებულია საახალწლო ვაჭრობა. ხალხი ყიდულობს ნაძვის ხეებს, რომლებიც თვითმფრინავით ჩამოიტანეს იაკუტიის სამხრეთ რაიონებიდან. გუგუნებენ ბულდოზერები, ასწორებენ ნამქერს. მხოლოდ ესღა მოგვაგონებს ამასწინანდელ გრიგალს.

(საქ. კორ.).

ტიქსის უბე.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

### აცხადებს კონკურსს ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად



ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია 2.500 მანეთის ოდენობით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით და მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო ორიგინალური შრომისათვის ბიოლოგიის დარგში, რომელსაც თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საპრემიოდ წარმოდგენილი შრომა შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებაში.

ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შრომის წარმოდგენა შეუძლიათ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო საზოგადოებებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს ან ცალკეულ მოქალაქეებს.

ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია მიენიჭება ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ნაშრომს.

შრომა წარმოდგენილ უნდა იქნას სამ ცალად, ამასთან მას უნდა დაერთოს შემსრულებლის მოკლე ავტობიოგრაფია და სამეცნიერო შრომებისა და გამოგონებების სია.

ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შრომა უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილებას არაუგვიანეს 1966 წლის 1 მარტისა. ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მინიჭება მოხდება ი. თარხნიშვილის დაბადების დღეს, 27 ივნისს.

საპრემიო მასალები უნდა გამოიგზავნოს მისამართით — თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია წარწერით „ი. თარხნიშვილის სახელობის კონკურსისათვის“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

## საქართველოს ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ვაკანტური საშტატო ერთეულების — ფილოსოფიის და მეცნიერული კომუნიზმის, ლითონთა ტექნოლოგიის და ლითონმცოდნეობის, მანქანათა ნაწილებისა და ამწე-სატრანსპორტო მანქანების დოცენტების თანამდებობათა დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ორ ეგზემპლარად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო წოდებისა ან ხარისხის დიპლომების პირები, დამოწმებული არსებული წესის მიხედვით, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, დაბეჭდილი სამეცნიერო შრომებისა და გამოგონებების სია.

კონკურსზე განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

სწავლა ძირითადად ქართულ ენაზეა. ინსტიტუტი საცხოვრებელი ფართობით არ უზრუნველყოფს.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 77.

## ჩა ვიაროთ, ჩა მოვისმინოთ

### ტელევიზია

30 დეკემბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ყოვლისშემძლე პაპას სამი ოქროს ბეწვი“, 19.10 — საუბარი ხანძარსაწინააღმდეგო თემაზე, 19.25 — „ჩვენი სატელევიზიო აფიშა“, 20.10 — მიმდინარე თეატრალური სეზონი, 20.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.10 — მხატვრული ფილმი „მილიონერის ანდერძი“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 31 დეკემბრისათვის, 22.30 — ახალი ამბების ესტაფეტა — სადღესასწაულო გამოშვება (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 17.25-22.30 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

### თეატრები

30 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი (მე-5 აბონ. მე-10 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — სიბრძნე სიცრუისა (დღისით, უაბონემენტოდ), ქუთათურები (საღამოს, უაბონემენტოდ), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — დაკარგული ბარათი (დღის 12 ს.), მარჯანიშვილის სახელობის — ჟანა დ' არკი (მე-19 აბონ. მე-10 წარმოდგენა), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — უცნაური მკვლელობა (პრემიერა).

რედაქტორი
დ. მჟავანაძე.

„კომუნისტი“ — თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნო — 9 66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 9-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9 52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-14-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9 55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-63, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-23-54, განცხადებების — 8 93 96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66113 უე 12947 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.